სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ 2010 წლის მონაცემებით:

2010 წლის 01 იანვრიდან 2011 წლის 01 იანვრამდე პერიოდში საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში განსახილველად იმყოფებოდა 1116 განცხადება (საჩივარი, წერილი), საიდანაც 1053 შემოვიდა 2010 წელს, ხოლო 63 შემოსული იყო 2009 წელს.

აღნიშნული განცხადებების (საჩივრების, წერილების) შესწავლის შედეგად:

1. 513 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეთა მიმართ შეწყდა დისციპლინური დევნა – 45,97%;

2. 37 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით – 3,31%;

3. 54 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს ჩამოერთვათ ახსნა-განმარტება და მიმდინარეობდა დისციპლინური საქმის გამოკვლევა – 4,84%; აღნიშნული 54 დისციპლინური საქმიდან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით:

ა) 30 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეები მიეცნენ დისციპლინურ პასუხისგებაში;

ბ) 20 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით;

გ) 4 დისციპილინურ საქმეზე მოსამართლეების მიმართ შეწყდა საქმის წარმოება.

4. სხვა განცხადებებთან (საჩივრებთან, წერილებთან) გაერთიანდა იგივე საკითხებზე განმეორებით შემოსული, ასევე გადაიგზავნა ქვემდებარეობით და მოქალაქეებს ეცნობათ პასუხი თავიანთ წერილებზე დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდეციაულურობის შესახებ _ 452 განცხადებაზე (საჩივარზე, წერილზე) – 40,50%;

5. 60 განცხადების (საჩივრის, წერილის) საფუძველზე მიმდინარეობს დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება – 5,38%.

სტატისტიკური ინფორმაცია

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ 2010 წელს განხილული საქმეების შესახებ

შემოვიდა	ნაშთი(2009)	განხილულია	განხილვის შედეგები								განსახილველია	გასაჩივრდა
			შეწყდა	მოეხსნა ბრალდება	გამართლდა	კერძო სარეკომენდაციო ბარათი	გამოეცხადა			განთავისუფლდა თანამდებობიდან		
							შენიშვნა	საყვედური	მკაცრი საყვედური			
საქმე	საქმე	საქმე	საქმე	პირი	პირი	პირი	პირი	პირი	პირი	პირი	საქმე	საქმე
30	0	5	2	0	0	0	1	1	0	1	25	0

2010 წელს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში განსახილველად შემოვიდა 30 დისციპლინური საქმე, გასული წლის ნაშთი _ 0, სულ _ 30 დისციპლინური საქმე.

2010 წელს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში განხილულ იქნა 5 დისციპლინური საქმე - 4 მოსამართლის მიმართ:

1. 1 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი _ შენიშვნა (1 მოსამართლე).

2. 1 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი _ საყვედური (1 მოსამართლე).

3. 1 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი _ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება (1 მოსამართლე).

4. 2 დისციპლინურ საქმეზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით შეწყდა დისციპლინური საქმის წარმოება (2 მოსამართლე).

2010 წლის განმავლობაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში არ გასაჩივრებულა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის არცერთი გადაწყვეტილება.